ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება*)*

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)
წევრ(ებ)ი:
თამთა მურვანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	230078395

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი
ფაქტობრივი მისამართი	ზესტაფონი სოფ.ზედა საქარა
საფოსტო ინდექსი	2000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zedasakara@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 3 26 0000337692, 20.03.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 20 მარტის MES 3 26 0000337692 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები, ამასთან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი და სკოლის მიერ მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
300	136

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. გაცემულ რჩევებთან დაკავშირებით, სკოლის მიერ 2026 წლის 28 აპრილის MES 4 26 0000491188 კორესპონდენციით წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის თანახმადაც სკოლა სრულად იზიარებს არასავალდებულო ხასიათის რჩევებს რომელიც დასკვნაშია წარმოდგენილი.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.1.	*სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს*	*სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სკოლის ხედვას, სასურველია ხედვა იყოს მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისთვის, მამოტივირებელი (სასკოლო საზოგადოებისთვის), კონკრეტული, უნიკალური (არა ზოგადი, რომელიც ნებისმიერ სკოლას მოერგება) და ამბიციური (ეს არის იდეალური სამომავლო სურათის აღწერა და არა მოკლე ვადაში მისაღწევი მიზანი).შესაძლებელია, ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს სკოლა.*
ინდიკატორი N 1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული განვითარების გეგმას გადახედოს სამი მიმართულებით:* *ა) საჭიროებების დიაგნოსტიკა, მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვროს, რა არის სკოლის გამოწვევა, სწავლის შედეგები, სოციალური გარემო, რესურსები;* *ბ) დაინტერესებული მხარეების ჩართვა, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები უნდა იყვნენ გეგმის შემქნელები და არა მხოლოდ მისი შემსრულებლები;* *გ) კონტექსტური ენა, გეგმაში ასახული მიზნები და ღონისძიებები უნდა ასახავდეს სკოლის სპეციფიკას.*

		მნიშვნელოვანია სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმა გახადოს ნამდვილად თავისი, ისეთი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლოს საზოგადოება იცნობს, ენდობა და რომლის მიხედვითაც მუშაობს.
ინდიკატორი N 1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ ყოველწლური თვითშეფასება სამოქმედო გეგმაში საკმარისად არ არის ასახული. ეს ორი ინსტრუმენტი კი განუყოფლად არის დაკავშირებული, კერძოდ სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სად მივდივართ, ხოლო თვითშეფასება პასუხობს კითხვას მივედით თუ არა და რატომ. ერთის გარეშე მეორე არასრულია.* *სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმა დააფუძნოს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს და ამის საფუძველზე განსაზღვროს შესასრულებელი აქტივობები. ამ გზით სამოქმედო გეგმა გადაიქცევა ცოცხალ, განახლებად დოკუმენტად და არა ერთჯერად ფორმალობად.*
ინდიკატორი N 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს და რაოდენობრივთან ერთად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ რაოდეობრივი შედეგებით და მეტად ასახავდეს მიღწეული შედეგების რეალურ ხარისხს.*

ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განახორციელოს იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას პრობლემის იდენტიფიცირება. სასურველია შესრულების შედეგის გაზომვა ერთდროულად დაეყრდნოს მონაცემთა სხვადასხვა წყაროს (დოკუმენტი, დაკვირვება, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა).*
ინდიკატორი N 1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	*სკოლას მიეცა რჩევა გაძლიეროს სტარატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი და გამოყენების პრაქტიკა, რათა მიღებული მონაცემები მეტად აისახოს შემდგომი დაგეგმვისას. მიზანშეწონილია, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვროს კონკრეტული გასაუმჯობესებელი მიმართულებები და მათი ინტეგირირება მოხდეს ახალი ან/და განახლებული გეგმების ფორმირებაში.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი N 1.2.1.4.	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია*	*სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწეროს ამოცანების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები.*	*შესრულებულია*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ილია აბულაძის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა საქარის საჯარო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა ,,უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიცემა თითოეული მოსწავლისთვის. მათი მოთხოვნების ინტერესების და შესაძლებლობების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების გააზრებას, დაამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, აამაღლებს წიგნიერების დონეს, დაეხმარება მოსწავლეებს მომავალი კარიერის დაგეგმაში.“
სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა ,,გაზარდოს დემოკრატიული კულტურის კომპენტენციების მქონე მოქალაქე. სკოლა ორიენტირებულია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ფეხი აუწყოს გამოწვევებს.“
სკოლის ხედვა უნდა იყოს მოკლე განაცხადი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს. სკოლის მიერ შემუშავებული ხედვა კი არის ზოგადი. **სკოლას მიეცა რჩევა** გადახედოს სკოლის ხედვას, სასურველია ხედვა იყოს მარტივად გასაგები ნებისმიერი მკითხველისთვის, მამოტივირებელი (სასკოლო საზოგადოებისთვის), კონკრეტული, უნიკალური (არა ზოგადი, რომელიც ნებისმიერ სკოლას მოერგება) და ამბიციური (ეს არის იდეალური სამომავლო სურათის აღწერა და არა მოკლე ვადაში მისაღწევი მიზანი).შესაძლებელია, ხედვაში განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომელშიც უნდა განვითარდეს სკოლა. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიით და ხედვით იკვეთება მოსწავლეთა უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების აუცილებლობა, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომლის შემუშავებისათვის სკოლას აქვს ჩატარებული გარკვეული სამუშაოები. სკოლის მიერ წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი ჩართულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების საკითხში. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (N2-118 03.10.2023), წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების გამოკითვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება რომ განხორციელებულია გარკვეული სამუშაოები, სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე.
ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწყვდომობას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
- მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება ;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.
მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება;
ბ) პროექტების გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის/თემისთვის;
გ) მიღებული უკუკავშირის განხილვა/გათვალისწინება;
დ) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა;
ე) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება დირექტორის მიერ, გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, (2023 - 2030 წწ) რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.

სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს ინფორმაციას გარემო ფაქტორების შესწავლისა და SWOT (ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზის შესახებ.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მნიშვნელოვანი საფუძველია გრძელვადიანი მიმართულებების განსაზღვრისათვის და დადებითია, რომ სკოლას ეს დოკუმენტი გააჩნია, თუმცა გეგმის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ იგი ზოგადი ხასიათისაა და სრულად არ ასახავს სკოლის კონკრეტულ კონტექტსა და რეალურ საჭიროებებს.

სტრატეგიული გეგმა მაშინ მუშაობს, როდესაც ის არა შაბლონური, არამედ სკოლის გარემოს, სასკოლო საზოგადოებას შეეხება. ზოგადი ფორმულირებები, რაოდენ სწორიც არ უნდა იყოს ვერ წარმართავს გუნდს კონკრეტული მიმართულებისკენ, რადგან ყველამ განსხვავებულად შეიძლება განმარტოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა** სტრატეგიული განვითარების გეგმას გადახედოს სამი მიმართულებით:

ა) საჭიროებების დიაგნოსტიკა, მონაცემებზე დაყრდნობით განისაზღვროს, რა არის სკოლის გამოწვევა, სწავლის შედეგები, სოციალური გარემო, რესურსები;

ბ) დაინტერესებული მხარეების ჩართვა, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები უნდა იყვნენ გეგმის შემქნელები და არა მხოლოდ მისი შემსრულებლები;

გ) კონტექსტური ენა, გეგმაში ასახული მიზნები და ღონისძიებები უნდა ასახავდეს სკოლის სპეციფიკას.

მნიშვნელოვანია სკოლამ სტრატეგიული განვითარების გეგმა გახადოს ნამდვილად თავისი, ისეთი დოკუმენტი, რომელსაც სასკოლოს საზოგადოება იცნობს, ენდობა და რომლის მიხედვითაც მუშაობს. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ), რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე წარმოდგენილი იქნა გასული სასწავლო წლის (2024-2025 წწ) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, სკოლის სტატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების ანალიზი აჩვენებს, რომ ყოველწლური თვითშეფასება სამოქმედო გეგმაში საკმარისად არ არის ასახული. ეს ორი ინსტრუმენტი კი განუყოფლად არის დაკავშირებული, კერძოდ სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სად მივდივართ, ხოლო თვითშეფასება პასუხობს კითხვას მივედით თუ არა და რატომ. ერთის გარეშე მეორე არასრულია.

სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმა დააფუძნოს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს და ამის საფუძველზე განსაზღვროს შესასრულებელი აქტივობები. ამ გზით სამოქმედო გეგმა გადაიქცევა ცოცხალ, განახლებად დოკუმენტად და არა ერთჯერად ფორმალობად. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, მეტწილად მოცემულია შესრულების რაოდენობრივი ინდიკატორები, აღნიშნულიდან გამომდინარე **სკოლას მიეცა რჩევა** გადახედოს სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს და რაოდენობრივთან ერთად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ რაოდეობრივი შედეგებით და მეტად ასახავდეს მიღწეული შედეგების რეალურ ხარისხს. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-12 თავი რომლის თანახმადაც სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში . საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს .

სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-12 თავის მე-2 პუნქტის თანახმად სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლას მოცემულ ეტაპზე სტატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელებული ვერ ექნებოდა.

სკოლას განხორციელებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში.

2025-2026 წწ სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, მკაფიოდ ვერ პასუხობს კითხვებს, თუ: (ა) რა შეიცვალა სასკოლო საზოგადოებისთვის? (ბ) რა მტკიცებულება გვაქვს ამ ცვლილების დასადასტურებლად? (გ) როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას სკოლა მომავალში?

სკოლის წარმარტება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია სწორ და თანმიმდევრულ დაგეგმვასა და მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობაზე. აღნიშნული პროცესი აძლიერებს და ავითარებს სკოლას, როგორც ინსტიტუციას, უქმნის მეტ შესაძლებლობას მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომდგენელს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტური მონიტორინგი და შეფასება კი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, მომავალი წლის სამოქმედო გეგმა გახადოს უფრო მეტად გაზომვადი და შედეგებზე ორიენტირებული.

სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განახორციელოს იმგვარად რომ უზრუნველყოფილი იქნას პრობლემის იდენტიფიცირება. სასურველია შესრულების შედეგის გაზომვა ერთდროულად დაეყრდნოს მონაცემთა სხვადასხვა წყაროს (დოკუმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2025-2026 წწ სამოქმედო გეგმების განხორციელების შუალედური შედეგები არის საჯარო, კერძოდ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები სკოლას გამოქვეყნებლი აქვს ვებგვერდზე. სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაზპე შეფასებული არ არის, ვინაიდან არ არის დამდგარი მეთოდოლოგიით განსაზღვრული სტრატეგიული გეგმის შეფასების პერიოდი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები, პასუხისმგებელი პირების ანგარიშები) დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა სკოლის მიერ დანერგილი პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ ამ ეტაპზე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება არ არის საკმარისად სისტემური და შედეგზე ორიენტირებული.
მოცემული ფაქტობრივი გარემოება ამცირებს დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობას. შედეგად არსებობს რისკი, რომ სკოლის განვითარების პროცესში არ იყოს სრულად გათვალისწინებული რეალური საჭიროებები და მიღწეული შედეგები.
სკოლას მიეცა რჩევა გაძლიეროს სტარატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების ანალიზი და გამოყენების პრაქტიკა, რათა მიღებული მონაცემები მეტად აისახოს შემდგომი დაგეგმვისას. მიზანშეწონილია, შეფასების შედეგებზე

დაყრდნობით განისაზღვროს კონკრეტული გასაუმჯობესებელი მიმართულებები და მათი ინტეგირირება მოხდეს ახალი ან/და განახლებული გეგმების ფორმირებაში. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები;
- სკოლის ვებგვედრი (skolebi.emis.ge);
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 01.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: